პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ.წყალტუბო

-----ივნისი, 2023 წელი

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ნოემბრის №70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცვლილება ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ნოემბრის №70 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" www.matcne.gov.ge სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.122.016335. თარიღი 18/11/2015) და ამ დადგენილებით დამტკიცებული „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ" ინსტრუქცია (დანართი №1) ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მოამზადა : მ. მამისეიშვილი

შეთანხმებულია : გ.ყურაშვილი

ი.გაბუნია

ზ.ერბელიძე

დანართი №1

ინსტრუქცია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) ნებართვისათვის მოსაკრებლის გამოანგარიშებისა და გადახდის წესის შესახებ

მუხლი 1

წინამდებარე ინსტრუქცია შემუშავებულია „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით და წარმოადგენს მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული, ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2

მოსაკრებლის განაკვეთი (ოდენობა) ახალასაშენებელი ობიექტისათვის განისაზღვროს პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2), საანგარიშო ფართობის თითოეული კვარატული მეტრისათვის 2 (ორი) ლარით.

მუხლი 3

მოსაკრებლის განაკვეთი (ოდენობა) საკურორტო ზონაში ახალასაშენებელი ობიექტისათვის განისაზღვროს პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვარატული მეტრისათვის 3 (სამი) ლარით, ხოლო საკურორტო ზონებში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის 5 (ხუთი) ლარით.

მუხლი 4

I და II კლასს დაქვემდებარებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და I კლასის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დამხმარე ნაგებობების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს ახალაშენებული ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების კოეფიციენტის (კ-1) საანგარიშო ფართობის მიხედვით, თითოეული კვადრატრული მეტრისათვის 2 (ორი) ლარის ოდენობით.

მუხლი 5

1.მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული, ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის არ გადაიხდება, თუ მშენებლობის ნებართვის მაძიებელია წყალტუბოს მუნიციპალიტეტი თავის ტერიტორიაზე, ან „ საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო, ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

მუხლი 6

ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა II კლასის ობიექტებისთვის განისაზღვროს - 50 ლარით, III კლასის ობიექტებისათვის - 200 ლარით, IV კლასის ობიექტებისათვის - 400 ლარით.

მუხლი 7

1. ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს 0,50 ლარით, გარდა ახალ ასაშენებელი ინტერნეტის ხაზოვანი ნაგებობისა.

2. ინტერნეტის ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს 0,20 ლარით, გარდა მაღალმთიანი დასახლებისათვის.

3. მაღალმთიანი დასახლებისათვის ინტერნეტის ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, ახალ ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს 0 ლარით.

მუხლი 8

მოსაკრებლის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული, ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) ნებართვისთვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან/და იურიდიული პირი.

მუხლი 9

მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლებულია სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობა.

მუხლი 10

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის ნორმების შესაბამისად, ნებართვის მაძიებლის მიერ სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთის (ქვითარი) წარდგენა უნდა მოხდეს ნებართვის მიღებაზე განცხადების წარდგენისას.

ადრესატი:

გენადი ბალანჩივაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

წერილის ნომერი:06-482317448
თარიღი: 23/06/2023

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის

ზედამხედველობის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის

სამსახურის უფროსის იასონ გაბუნიას

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მოგახსენებთ, რომ ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახადი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის, ასევე მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ გარკვეული მომსახურების გაწევისათვის.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებას წარმოადგენს: ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლის შემოღება და გაუქმება კანონით დადგენილი წესით, მათი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება, ხოლო 24-ე მუხლის პირველი პუნტის „დ“ ქვეპუნტის „დ, ბ“ ქვეპუნტის თანახმად მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება საფინანსო-საბიუჯეტო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება. „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული ადგილობრივი მოსაკრელების შემოღებისა და ბიუჯეტში ჩარიცხვის წესის შესაბამისად, ადგილობრივი მოსაკრებლის შემოღების, გაუქმების და მათზე შეღავათების დაწესების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს წარდგენით. ადგილობრივი მოსაკრებელი გადაიხდევნება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციების შესაბამისად. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შემოღებული მოსაკრებლები მთლიანად ჩაირიცხება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები, რის შედეგადაც „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ნოემბრის N70 დადგენილების დანართი N1-ში უნდა განხორციელდეს ცვლილებები.

გთხოვთ დაავალოთ იურიდიულ საკითხთა განყოფილებას მოამზადოს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების

განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 ნოემბრის N70 დადგენილების დანართ N1-ში ცვლილებების შეტანის პროექტი და წარუდგინოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად.

პატივისცემით,

იასონ გაბუნია

ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი